

# სოციალური თერაპიის სახლი

## საქმიანობის შესახებ

„სოციალური თერაპიის სახლი“ უზრუნველყოფს ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ზრდასრული პირების მომსახურებას. მისი **სოციალური მისიაა** საქართველოში სოციალური თერაპიის დანერგვა და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის ხელშეწყობა.



## პროდუქცია / სერვისი

სოციალური საწარმო დღის ცენტრის მომსახურებას უწევს შშმ პირებს. დამატებით, ფუნქციონირებს 8 სხვადასხვა მიმართულების სახელოსნო. კერძოდ: ქაღალდის მეორადი გადამუშავება, სანთლების დამზადება, ტექსტილზე და აქსესუარებზე ბეჭდვა, ლაზერული ჭრა და გრავირება, სტამბა და სადურგლო. შესაბამისად, საწარმო მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან პროდუქციას. ჩამონათვალშია:

- ხის დეკორაციული ზარდახშები
- დეკუპაჟის ტექნიკით შესრულებული კედლის საათები
- ხის აქსესუარები სამზარეულოსა და ინტერიერისთვის
- ხელნაკეთი სანთლები
- ტექსტილის ჩანთები
- მეორადი გადამუშავების ქაღალდით დამზადებული მისალოცი ბარათები და წიგნაკები
- თექისა და ტექსტილის თოჯინები და ა.შ

კორპორაციულ მომხმარებელს საწარმო სთავაზობს მათთვის სასურველი დიზაინის პროდუქციას.

## სოციალური შედეგები

- სოციალური საწარმოს მომსახურებით დღეისათვის 50 შშმ პირი სარგებლობს
- სოციალური საწარმოს ბაზაზე მომზადებას გადიან მომავალი სპეციალისტები, რომლებიც იძენენ უნარებს, სოციალურ-თერაპიული მიდგომიდან გამომდინარე წარმართონ ურთიერთობა და შრომითი პროცესები განვითარების შეზღუდვის მქონე პირებთან




995 577 400 753

infoapnsc@gmail.com

https://bit.ly/2D9ooMN

ძმები უბილავების N8, თბილისი, საქართველო


